

გიგმუნდ ფროიდი

Sigmund Freud

უკმაყოფილება კულტურით

სასრული და უსასრულო ანალიზი

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2022

უკმაყოფილება კულტურით: აღნიშნული ტექსტი წარადგენს კულტურის კრიტიკას. პირველი კულტურული აქტი არის აკრძალვა, რომელიც ადამიანს თავის ბუნებრივ თავისუფლებასთან აშორებს. ფროიდის მიხედვით, ცხოვრების მიზანს სიამოვნება განსაზღვრავს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ადამიანი შემოსაზღვრულ იქნა კულტურული აქტებით მან დაკარგა თავისი ბუნებრივი სახე, რამაც განაპირობა არაერთი კომპლექსის ჩამოყალიბება. კომპლექსები, რომლებიც სურვილების დათრგუნვითა და ცივილიზაციის (კულტურის) განვითარების შედეგად წარმოიშვა, ღრმად არის ჩამარხული ქვეცნობიერში და მავანს მუდმივად უწევს ჭიდილი ნებასა და კულტურის მიერ ტაბუირებულ საკითხებს შორის.

სასრული და უსასრულო ანალიზი: აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ზიგმუნდ ფროიდის შემოქმედების ერთგვარ შეჯამებას, სადაც ავტორი გვანახებს ფსიქონალიზის როლს ადამიანის მენტალურ განვითარებაში, რამეთუ ამ უკანასკნელის მიზანი სწორედ იმ კომპლექსებისა და ლტოლვის გამოკვლევა და გადალახვაა, რომლებიც კულტურამ წარმოშვა.

ავტორი: ზიგმუნდ ფროიდი

მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი

რედაქტორი: დიმიტრი უჩანანიშვილი

კორექტორი: ეკატერინე კვიციანი

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4882-7

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა	4
უკმაყოფილება კულტურით	11
I	13
II	24
III	40
IV	56
V	66
VI	77
VII	84
VIII	97
სასრული და უსასრულო ანალიზი	113
თავი I	115
თავი II	120
თავი III	126
თავი IV	136
თავი V	142
თავი VI	150
თავი VII	161
თავი VIII	166
ბამონცემლობა „აპტი“-ს მიერ ბამონცემული წიგნები	171

მთარგმნელის წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია ზიგმუნდ ფროიდის ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც მისი შემოქმედების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს: „უკმაყოფილება კულტურით“ და „სასრული და უსასრულო ანალიზი“.

ზიგმუნდ ფროიდმა „უკმაყოფილება კულტურით“ (Das Unbehagen in der Kultur) 1929 წელს დაწერა. ნაშრომის სამუშაო სახელწოდებაა „უბედურება კულტურაში“ (Das Unglück in der Kultur). ფსიქოანალიტიკოსი წიგნს იწყებს რელიგიის შესახებ კითხვით, პასუხობს რა თავის მეგობარ რომენ როლანს. ფროიდს მიაჩნდა, რომ რელიგიურ აღმსარებლობათა უმეტესობა ილუზიაა, ხოლო რელიგიურობის ტემპერიტი წყარო არის „მარადიულობის“ და რაღაც უსაზღვროს „ოკეანური“ განცდა. ფროიდი წერს, რომ ის თავად არ განიცდის მსგავს რამეს, ამიტომ მას არ შეუძლია უარყოს ამ გრძნობის არსებობა სხვებში, თუმცა ფსიქოანალიზს ძალუძს, ახსნას მისი წარმოშობა.

ამ „ოკეანური“ განცდის წყაროდ ის ინფანტილურ ნარცისიზმს ასახელებს. ადრეულ ასაკში ადამიანი ჯერ კიდევ არ არის დაშორებული გარე სამყაროს, მისი „მე“ მოგვიანებით ყალიბდება. ამ ინფანტილურ განცდასთან დაბრუნება, რომელიც ზრდასრულთა ფსიქიკის შორეულ კუთხეებშია შემორჩენილი,

იწვევს კიდევ რელიგიური გრძნობების წარმოქმნას. ისინი აიხსნება ფსიქიკის მიერ განვითარების ადრეული საფეხურების მემკვიდრეობით მიღებით, როდესაც „მე“ ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყოფილი Id-ისგან.

შემდეგ ფროიდი რელიგიის წარმოშობის შესახებ მსჯელობს. მას ყველაფერი ადამიანურ ბუნებამდე დაჰყავს: ჩვენ ბედნიერებისკენ, სიამოვნებისკენ ვისწრაფვით და ვცდილობთ, თავი ავარიდოთ ტკივილსა და ტანჯვას. ცხოვრების მიზანს სიამოვნების პრინციპი განსაზღვრავს, მაგრამ სამყარო გამუდმებით ცდილობს ყველაფრის აწეწვას – ბედნიერების მიღწევა არც ისე ადვილია, ცხოვრება კი მწუხარებით არის აღსავსე: ომები, ავადმყოფობები და სხვა უბედურებები ადამიანის ცხოვრებაში დაბადების წუთიდან იჭრება. ამიტომ ადამიანები ნუგეშს რელიგიაში ეძებენ, რომელიც ტანჯვისგან განთავისუფლებას და მარადიულ ნეტარებას სთავაზობს მათ.

უბედურების თავიდან აცილების მრავალი ასეთი „მეთოდი“ არსებობს: ფილოსოფია (მაგალითად, სტოიციზმი), მეცნიერება, შემოქმედება და ა.შ. მაგრამ ფროიდს მხოლოდ მეცნიერული შემეცნება და შრომა მიაჩნდა სამყაროს მტრული დამოკიდებულებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საუკეთესო საშუალებად. რელიგიის მიმართ მას ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებაც კი „ხსნის“ საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნდა. ფროიდის აზრით, რელიგია აკნინებს ცხოვრებისეულ ღირებულებებს და ამახინჯებს სამყაროს რეალურ სურათს. ფროიდი თვლიდა, რომ ცივილიზაციამ ადამიანებს არამხოლოდ სიკეთე მოუტანა, არამედ გამაღიზიანებელ ჩარჩოებშიც მოაქცია. კულტურამ ადამიანს წაართვა ბუნებრივი თავისუფლება და მასში ფესვგადგმული აგრესია.

ფროიდი ადამიანისა და თანამედროვე კულტურის ანტაგონიზმს აანალიზებს, რომელშიც ადამიანები უფრო ნევროტულები ხდებიან, რადგან კულტურა საზოგადოებას გამუდმებით ახალ საზღვრებში აქცევს და სხვადასხვა ტაბუს აწესებს. კულ-

ტურა მრავალი მიდრეკილების უარყოფას მოითხოვს, რაც ზღუდავს ინდივიდის ბუნებრივ თავისუფლებას, მის თანდაყოლილ ბუნებას (ნახსენებ Id-ს). ადამიანის სწრაფვა თავისუფლებისკენ მიმართულია ან კულტურის გარკვეული ფორმებისა და პრეტენზიების, ან მთლიანად მის წინააღმდეგ.

ლტოლვა შეიძლება იყოს დესტრუქციული და აგრესიული. „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, – ასეთი აზრის იყო ფროიდი. ის სკეპტიკურად უყურებდა მარქსისტულ თეზისს, რომ კერძო საკუთრების გაუქმება ხელს შეუწყობდა აგრესიის დაძლევას, რადგან ეს ბუნებით არის შეუძლებელი. ფსიქოანალიტიკოსი პატივს მიაგებდა თანამედროვე კულტურას, რომელიც ადამიანებს უსაფრთხოებას ანიჭებს, სანაცვლოდ კი აგრესიულ ლტოლვაზე (მაგალითად, სექსუალურზე) უარის თქმას მოითხოვს.

კულტურა სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტების ბრძოლის ველად წარმოდგება. ეროსი ხელს უწყობს ადამიანთა გაერთიანებას კავშირებში, ხოლო ტანატოსი – მათ განადგურებას. ეს დაპირისპირება არის ცხოვრების არსი და შინაარსი, ამიტომ კულტურული განვითარება შეიძლება შეფასდეს, როგორც კაცობრიობის ბრძოლა გადარჩენისთვის. ფროიდის აზრით, აგრესია ვლინდება ნევროტულ შიშსა და დანაშაულის გრძობაში, ხოლო „ზე-ეგო“ ენერჯიას იღებს ასეთი განდევნიდან.

„უკმაყოფილება კულტურით“ მთავრდება თეზისით, რომ ადამიანის ინდივიდუალურ განვითარებასა და კულტურას მრავალი აქვთ საერთო. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ცოცხალ ბუნებაში გაბატონებულ კანონებთან. კულტურული პროცესი არის ცხოვრების გარკვეული მოდიფიკაცია, მაგრამ მასში ასევე მულავნდება ბრძოლა ეროსსა და ტანატოსს შორის. ფროიდი ამტკიცებს, რომ არსებობს სოციალური „ზე-ეგო“, რომელიც ასევე განვითარების პროცესშია და განსხვავდება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და კულტურაში.

ნაშრომმა „უკმაყოფილება კულტურით“ მრავალი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის (ძირითადად „ფროიდო-მარქსისტე-

ბის“ – მარკუზეს „ეროსი და ცივილიზაცია“ და სხვ.) მიიპყრო და დიდი როლი ითამაშა ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის განვითარებაში (მოძღვრება „პიროვნების საბაზისო ტიპის“ შესახებ). ნეოფროიდისმის ჩარჩოებში ფროიდის ინსტიქტების თეორიის გადახედვამ ხელი შეუწყო აგრესიულობის განსხვავებულ ინტერპრეტაციას (ე. ფრომის „ადამიანის დესტრუქციულობის ანატომია“).

„სასრული და უსასრულო ანალიზი“ ფროიდმა 1937 წელს შექმნა. იგი არსებითად მთელ მის სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას აჯამებს.

მართლაც, მიღებულია, რომ ამ ნამუშევარში დავინახოთ ერთ-ერთი ელემენტი სურათისა, რომელიც „გვირგვინის“ სახით ადგას ფროიდის მთელ კლინიკურ მემკვიდრეობას. მასში აისახა ფსიქოანალიზის, როგორც თერაპიული მეთოდის, არსებული და უპირობო პოტენციალი და მისი შეზღუდვები, რომლებიც პრაქტიკის მიმდინარეობისას გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი ამ ნაწარმოების ტონს საკმაოდ პესიმისტურად მიიჩნევს, უმეტესობა ავტორის მიერ მასში ასახულ რეალიზმსაც აფასებს, მის მცდელობებს, მიუკერძოებლად გაერკვეს იმაში, თუ რატომ არის კლინიკურ პრაქტიკაში დაფიქსირებული ფსიქოანალიტიკური თერაპიის რეალური შედეგები, როგორც წესი, შორს იმ იდეალისგან, რომელიც ფსიქოანალიზის მამას თავის თეორიულ კონსტრუქციებში წარმოედგინა.

ეს ნაშრომი ისტორიული თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული. ალბათ მართლაც შესაძლებელია მასში პესიმისტური უღერადობის მოხელთება. გერმანიაში ხელისუფლებაში მოვიდა ადოლფ ჰიტლერი და იმავე 1933 წელს, ნაცისტებმა, ფროიდის წიგნებში სექსუალური საკითხების მეტისმეტად გულწრფელი განხილვის საბაბით, მისი წიგნების მთელი გროვა დაწვეს ბერლინში. თავად ფროიდი უკვე მძიმედ იყო დაავადებული კიბოთი, მან განიცადა საყვარელი ადამიანების სი-

შეუძლებელია უარის თქმა აზრზე, რომ ადამიანები ყველაფერს ყალბი საზომით ზომავენ: ისინი მიილტვიან ძალაუფლების, წარმატებისა და სიმდიდრისკენ, მათ აღტაცებას იწვევენ ისეთები, ვინც ამ ყველაფერს ფლობენ, იმავდროულად კი არასათანადოდ აფასებენ ცხოვრების ჭეშმარიტ სიამეებს. თუმცა ასეთი განზოგადება, როგორც ყოველთვის, არ არის უსაფრთხო; დავიწყებას ეძლევა ადამიანის სამყაროსა და სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნება. არიან ადამიანები, რომლებსაც თანამედროვეები უარს არ ეუბნებიან პატივისცემაზე, თუმცა მთელი მათი დიდება ეფუძნება თვისებებსა და საქმეებს, რომლებიც სრულიად უცხოა ბრბოს მიზნებისა და იდეალებისთვის. დავუშვათ, რომ მათ დიდებას ასევე უმცირესობა ცნობს, როდესაც დიდ უმრავლესობას მათ შესახებ არაფრის ცოდნა არ სურს; მაგრამ არც აქაა ყველაფერი მარტივად, თუკი გავითვალისწინებთ ადამიანთა სიტყვებისა და საქმეების შეუთანხმებლობას, და ადამიანურ სურვილთა მრავალფეროვნებას.

ერთი ასეთი შესანიშნავი ადამიანი წერილებში თავის მეგობარს მიწოდებს. მე მას ჩემი მცირე ზომის ნაშრომი გავუგზავნე, რომელშიც რელიგია განხილულია როგორც ილუზია.

მან მიპასუხა, რომ სრულიად ეთანხმებოდა ჩემს შეფასებას, თუმცა წუხს, რომ მე საკადრისი არ მივაგე რელიგიურობის ჭეშმარიტ წყაროს. ასეთად მას მიაჩნია განსაკუთრებული გრძნობა, რომელიც მას არასოდეს ტოვებს, რომელიც მას მრავალ ადამიანში შეუმჩნევია და, სავარაუდოდ, მილიონებისთვისაა დამახასიათებელი. ამ განცდას ის „მარადიულობის შეგრძნებას“ უწოდებს, რაღაც უსაზღვროს გრძნობას, უკიდევანოს, „ოკეანურის“. ასეთი განცდა წმინდად სუბიექტური საქმეა, ეს არ არის რწმენის საკითხი. მასთან არ არის შეზავებული პირადი უკვდავების დაპირება, მაგრამ სანაცვლოდ მასში არის რელიგიური ენერჯის წყარო, რომელიც სხვადასხვა ეკლესიასა და რელიგიურ სისტემას კვებავს. ისინი მიმართავენ მას სხვადასხვა არხით, რომლებშიც ხდება კიდევ მისი შთანთქმა. მხოლოდ ასეთი „ოკეანური“ გრძნობის საფუძველზე შეუძლია ადამიანს საკუთარ თავს რელიგიური უწოდოს – თუნდაც ის ყოველგვარ რწმენასა და ყოველგვარ ილუზიას უარყოფდეს.

ჩემი პატივცემული მეგობრის ასეთმა მსჯელობამ, რომელმაც ერთხელ თვით მიაგო საკადრისი პოეტური ილუზიის მაგიას, არაერთი სირთულის წინაშე დამაყენა.¹ ჩემში მე ვერ ვპოულობ ასეთი „ოკეანური“ გრძნობის სიმპტომებს; მეცნიერულ მიდგომას გრძნობები არაერთ უხერხულობას უქმნის. ჩვენ შეგვიძლია მათი ფიზიოლოგიური ნიშნების აღწერა. იქ, სადაც ეს ხერხდება, მე კი ვშიშობ, რომ „ოკეანური“ განცდა ასეთ დახასიათებას არ ექვემდებარება, არაფერი რჩება, გარდა იმ წარმოდგენათა შემადგენლისა, რომლებიც ასოციაციურადაა დაკავშირებული ამ გრძნობას. თუკი მართებულად გავუგე ჩემს მეგობარს, მას იგივე უნდა ჰქონდეს

1. ორივე წიგნის – „რამაკრიშნას ცხოვრება“ და „ვივეკანანდას ცხოვრება“ – გამოქვეყნების შემდეგ (1930) აღარ არსებობს აუცილებლობა იმის დაფარვისა, რომ აღნიშნულ მეგობარს რომენ როლანი წარმოადგენს.

სასრული და შესასრულო ანალიზი

თავი I^{1,2}

გამოცდილება გვასწავლის, რომ ფსიქოანალიტიკურ თერაპიას – ადამიანის განთავისუფლებას მისი ნევროზული სიმპტომების, აკრძალვებისა და ხასიათის ანომალიებისგან – დიდი დრო სჭირდება. ამიტომ თავიდანვე გაკეთდა მცდელობები, რომ ანალიზის ხანგრძლივობა შემცირებულიყო. ამგვარი მცდელობები არ მოითხოვდა სპეციალურ დასაბუთებას; შეიძლება ითქვას, რომ ისინი დაფუძნებულია რაციონალურობისა და მიზანშეწონილობის ძალიან დამაჯერებელ არგუმენტებზე. მაგრამ მათში მიაგნებდით კვალს და დღესაც მოქმედებს მოუთმენელი ქედმაღლობის ის სახეობა, რომლითაც წინა ეპოქის სამედიცინო მეცნიერება ნევროზს განიხილავდა, როგორც უხილავ დაზიანებათა უადგილო შედეგს. და თუ მათ უთმობდნენ კიდევ ყურადღებას, სასწრაფოდ უნდა ეთქვათ მათზე უარი.

ანალიზის ხანგრძლივობის შემცირების განსაკუთრებით ენერგიული მცდელობა ჰქონდა ოტო რანკს თავის წიგნში

1. თარგმანი ინგლისურიდან შესრულებულია გამოცემის მიხედვით: S. Freud (1937) *Analysis Terminable, and Interminable*, Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud, London: Hogarth Press (1950-74), vol. 23, pp. 209-53 – მთარგმნელის შენიშვნა.

2. მთარგმნელი: დ. უჩანეიშვილი – მთარგ. შენიშვნა.

„დაბადების ტრავმა“ (1924). მან ივარაუდა, რომ ნევროზის ნამდვილი წყარო არის დაბადების აქტი, რადგან იგი მოიცავს დედაზე ბავშვის „პირველადი ფიქსაციის“ შესაძლებლობას, რომელიც შემდგომში არ არის გადალახული და შენარჩუნებულია „პირველადი განდევნის“ ფორმით. რანკი იმედოვნებდა, რომ თუ შემდგომ ანალიზში ამ ტრავმასთან ჩატარდებოდა მუშაობა, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა ნევროზისგან მთლიანად განთავისუფლება. ასე რომ, ანალიტიკური შრომის ერთი მცირე ნაწილი აგვაშორებს სხვა დანარჩენის გაკეთების აუცილებლობას. ამის განსახორციელებლად კი მხოლოდ რამდენიმე თვე დაგვჭირდება. ეჭვგარეშეა, რომ რანკის არგუმენტები თამამი და მახვილგონივრული იყო; მაგრამ ვერ ჩააბარა კრიტიკის ტესტი. უფრო მეტიც, ეს იყო მათი დროის ნაყოფი, წარმოშობილი დამთრგუნველი კონტრასტით ომისშემდგომი ევროპის სიღარიბესა და ამერიკის „კეთილდღეობას“ შორის, და შექმნილი იყო ანალიტიკური თერაპიის ტემპის ადაპტირებისთვის ამერიკული ცხოვრების ტემპთან.

ჩვენ ცოტა რამ გვსმენია იმის შესახებ, თუ რა მოგვცა რანკის გეგმის გამოყენებამ დაავადებათა შემთხვევებში. ალბათ, იმაზე მეტი არაა, ვიდრე სახანძრო ბრიგადის მოქმედებებია, რომელიც გამოიძახეს ნათევქურით გამოწვეული ხანძრის ჩასაქრობად, და რომელმაც საკუთარი ფუნქცია იმით შებღუდა, რომ ქურა იმ ოთახიდან გაიტანა, რომელშიც ცეცხლი გაჩნდა. ეჭვგარეშეა, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებდა სახანძრო ბრიგადის სამუშაოს. რანკის ექსპერიმენტის თეორია და პრაქტიკა ახლა წარსულს მიეკუთვნება ისევე, როგორც თავად ამერიკული „კეთილდღეობა“.³

3. [ეს დაიწერა მალევე ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ფინანსური კრიზისის შემდეგ. რანკის თეორიის კრიტიკული მიმოხილვა ფროიდმა განახორციელა წიგნში „აკრძალვები, სიმპტომები და შფოთვა“ (1926d)]

აქ და შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ინგლისური გამოცემის რედაქტორის შენიშვნები – მთარგ. შენიშვნა.

თავად მე, ჯერ კიდევ ომამდე, სხვა გზას ვიყენებდი ანალიტიკური მკურნალობის დასაჩქარებლად. ამ დროს მე საქმე მქონდა ერთ ახალგაზრდასთან, რომელიც სიმდიდრისგან იყო განებივრებული და რომელიც ვენაში ჩამოსულიყო სრულიად უმწეო, პირადი ექიმისა და მსახურის თანხლებით.⁴ რამდენიმე წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა მისთვის დამოუკიდებლობის უმეტესწილად დაბრუნება, ინტერესის გაღვივება ცხოვრებისადმი და ურთიერთობების გაუმჯობესება მისთვის ღირებულ ადამიანებთან. მაგრამ წინსვლა აქ შეჩერდა. ჩვენ ვერ წავედით წინ მისი ბავშვობის ნევროზის გარკვევაში, რომელსაც ეფუძნებოდა გვიანდელი დაავადება, და აშკარა იყო, რომ პაციენტი თავის პოზიციას ძალიან კომფორტულად თვლიდა და არ ამუღავნებდა ნაბიჯის გადადგმის სურვილს, რომელიც მას მკურნალობის დასრულებასთან მიიყვანდა. ეს იყო შემთხვევა მკურნალობისა, რომელიც თრგუნავდა საკუთარ თავს: მას მარცხი ემუქრებოდა, მისი – ნაწილობრივი – წარმატების გამო. ამ რთულ მდგომარეობაში მე გმირული ნაბიჯის გადადგმა გადავწყვიტე: დამეფიქსირებინა ანალიზის დროითი საზღვრები.⁵ წლის დასაწყისში მე პაციენტს შევატყობინე, რომ ის წელი იქნებოდა მისი მკურნალობის უკანასკნელი წელი, რისთვისაც არ უნდა მიეღწია მას დარჩენილ დროში. პირველ წუთს მან არ დამიჯერა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ მე სრულიად სერიოზულად ვიყავი განწყობილი, მოხდა სასურველი ცვლილება; მისმა წინააღმდეგობამ უკან დაიხია და მკურნალობის ამ ბოლო თვეებში მან შეძლო ყველა მოვონების რეპროდუცირება და გამოავლინა ყველა ის კავშირი, რომელიც აუცი-

4. იხილეთ ჩემი სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია პაციენტის თანხმობით, „ინფანტილური ნევროზის ისტორიიდან“ (1918b). იგი არ შეიცავს ამ ახალგაზრდის ზრდასრული დაავადების დეტალურ აღწერას, რომელიც მხოლოდ მაშინ არის ნახსენები, თუ ამას დაუყოვნებლივ მოითხოვს მისი კავშირი ინფანტილურ ნევროზთან.

5. [ib. Standard Ed., 17, 10-11.]

ბამოცხემლობა „აქტი“-ს მიერ ბამოცხემული ნიბნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით
5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
12. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
13. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
14. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია
15. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
16. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
17. ბერტრან რასელი – ესეები
18. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
19. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
20. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
21. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

22. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
23. ერის ფრომი – ადამიანის სული

24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
25. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
26. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
27. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
28. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
29. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

30. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
31. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
32. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
33. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

34. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

35. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
36. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

37. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
38. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
39. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
40. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

41. ოშო – საწყისთა საწყისი
42. ოშო – სიყვარულის ძალა
43. ოშო – რა არის მედიტაცია?
44. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

45. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
46. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

47. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
48. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

49. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
50. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
51. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
52. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
53. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
54. გ. გურჯიევი – ბელგებელის ნამბობი შვილიშვილისთვის.
წიგნი I-IV
55. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
56. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
57. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
58. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
59. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
60. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
61. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმში
62. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
63. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
64. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება
65. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
66. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
67. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
68. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი